Ჯერ სამოყვარულო, შემდეგ კი პროფესიული კალათბურთის სამყაროში მრავალი წლის მანძილზე გრგვინავდა შესანიშნავი ამერიკელი სპორტსმენის ბობ კოუსის სახელი. მან არც ისე დიდი ხანია სპორტს თავი მიანება, მაგრამ კალათბურთთან კავშირი მაინც არ გაწყვიტა. კოუსმა დააარსა ფირმა, რომელიც კალათბურთის ბურთებს ამზადებს. სწორედ მისი ნაწარმით თამაშობდნენ მონტევიდეოში მსოფლიოს V ჩემპიონატის მონაწილენი.

ს უ რ ა თ ზ ე: ამ ბურთმა ოკეანე გადმოლახა და ბოლოს თბილისში ამოჰყო თავი. მისი მფლობელია მსოფლიოს ჩემპიონი ზურაბ საკანდელიძე.

(ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ ᲘᲮ. ᲛᲔ-3 ᲒᲕ.)

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლელო

№ 127
(3357)

1967 წ.
2 ივლისი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ
ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ
23-Ე ᲬᲔᲚᲘ



◆ **ბუდაპეშტი, 1 ივლისი.** მხოლოდ ბოლო სახეობა — მძლეოსნური კროსი მოიგო აქ დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა თანამედროვე ხუთჭიდში, მასპინძელმა ა. ბალცომ. და სწორედ დამაჯერებელმა მოგებამ მძლეოსნურ კროსში მოუტანა მას საბოლოო გამარჯვება ხუთი სახეობის ჯამში. კროსში მან მართლაც ბრწყინვალე დრო აჩვენა—12.41,4. ამით ბალცომ არამც თუ ამოიგო 111 ქულა, რომელიც მას ოლიმპიურ ჩემპიონს, თანამემამულე ფ. ტიორიოკს აშორებდა, არამედ 18 ქულითაც გაუსწრო მას. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გდრ-ის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის სპორტსმენები.

მიანიჭა... კინოფირმა

პარიზი, 1 ივლისი. „ტურ დე ფრანსის" პირველივე ეტაპი უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა. ფინიშზე სულ რამდენიმე მილიმეტრი მოუგო ბელგიელმა ველოსიპედისტმა ვ. გოდეფრუტმა ჰოლანდიელ გ. კარსტენსს. ბევრს ეგონა, რომ გაიმარჯვა კარსტენსმა, მაგრამ კინოფირის გამჟღავნების შემდეგ პირველობა გოდეფრუტს მიენიჭა. ანჟერიდან სენ-მალომდე 185,5 კმ ბელგიელმა დაფარა 4 საათში, 34 წუთსა და 29 წამში (20 პრემიალური წამი). მაგრამ საერთო ჩათვლაში ლიდერი გახდა... ესპანელი ხოსე-მარია ერანდონეა. საქმე ისაა, რომ I ეტაპის წინა დღით გაიმართა ველორბოლა ანჟერის ირგვლივ, რომელიც ამ ესპანელმა მოიგო და ჩათვლაში შედის. „ტურ დე ფრანსში" მონაწილეობენ ბელგიის, გფრ-ის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის გუნდები, აგრეთვე, შვეიცარიისა და ლუქსემბურგის შერეული კოლექტივი. სტარტი აიღო 130 მრბოლელმა.

კალეიდოსკოპი

ო. ფხაკაძემ 4 ქულით აჯობა მსოფლიო ჩემპიონს

● **ლაიპციგი,** 1 ივლისი. აქ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ველოსიპედისტის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ო. ფხაკაძის მიერ „გდრ-ის დიდი პრიზის" მოპოვებამ სპრინტში. შესანიშნავმა სპორტსმენმა ბერლინში, დრეზდენსა და ლაიპციგში გამართული სამივე ეტაპი მოიგო. პარასკევს მან აქ ორივე რბოლაში გაუსწრო მსოფლიო ჩემპიონს დ. მორელონს (საფრანგეთი), თანაც ერთ-ერთი რბოლის ბოლო 200 მეტრზე საუცხოო დრო — 11,4 წამი აჩვენა. საბოლოო ჯამში ფხაკაძემ მოაგროვა 24 ქულა, ხოლო II ადგილზე გასულმა მორელონმა — 20.

400 მ თავისუფალი სტილით — 4.36.8!

● **ფორტ-ლოდერდეილი** (სამხრეთ ფლორიდა), 1 ივლისი. 17 წლის ამერიკელმა მოსწავლე გოგონამ პამელა კრუზმა ამ ქალაქის ღია ჩემპიონატში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.36,8 (ეს 1,2 წამით სჯობს კრუზის თანამემამულე მ. რენდოლის მიერ შარშანწინ დამყარებულ უმაღლეს მიღწევას). ეს ლონიერი გოგონა, რომელიც კამპანო ბიჩში ცხოვრობს, შარშან პირველად შევიდა „მსოფლიოს ათეულში", — სეზონის მერვე შედეგი აჩვენა.

რიგები შეთხელდა

ლ ო ნ დ ო ნ ი, 1 ივლისი. შეთხელდა უიმბლდონის ტურნირში მოასპარეზე საბჭოთა ჩოგბურთელების რიგები. შერეულ წყვილთა მეორე წრის მატჩში დამარცხდნენ რ. ისლანოვა და ვ. კოროტკოვი — მათ წააგეს ცნობილ ავსტრალიელებთან ტ. როჩსა და ჯ. ტეგარტთან — 2:6, 4:6.

მეოთხე წრე ბოლო გამოდგა ს. ლიხაჩოვისთვის: მან ავსტრალიელ ჯ. კუპერთან წააგო — 4:6, 3:6, 1:6. ა. დმიტრიევამ უკვე II წრეში დაყარა ფარხმალი ნ. რიჩისთან (აშშ) — 4:6, 4:6, ხოლო კოროტკოვისა და თ. ლეიუსის წყვილი დამარცხდა ავსტრალიელებთან — ბ. ბოურისა და ო. დევიდსონთან — 2:6, 6:8, 3:6.

მხოლოდ მეორე საბჭოთა შერეულმა წყვილმა (გ. ბაკშეევა — ლეიუსი) დაამარცხა ჰოლანდიელები ნ. ფლერი და ა. ბეკერი — 3:6, 6:4, 6:4, მაგრამ ეს იყო პირველი წრის შეხვედრა.

კემპბელის რეკორდი დაემხო

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. ჯერ კიდევ არ დამცხრალა იანვარში მომხდარი ტრაგედიის ექო კონისტონის ტბაზე, სადაც მორიგი რეკორდის იერიშისას დაიღუპა სახელგანთქმული მრბოლელი დონალდ კემპბელი, რომ დაემხო მის მიერ 1964 წელს დამყარებული სისწრაფის მსოფლიო რეკორდი წყალზე. რეაქტიულძრავიანი ნავით „ჰასტლერით" ეს გააკეთა 32 წლის ამერიკელმა ბიზნესმენმა ლი ტეილორმა. განტერსვილის ტბის (ალაბამის შტატი) იდეალურად სარკისებურ ზედაპირზე მან განავითარა 458,5 კმ საათში (კემპბელის რეკორდი უდრიდა 444,7 კმ-ს). კონისტონის ტბაზე იმ საბედისწერო რბოლისას „ცისფერმა ჩიტმა" 514,99 კმ სისწრაფე განავითარა, მაგრამ აფეთქდა, როცა რეკორდის სარეგისტრაციო დისტანციის ბოლომდე სულ რაღაც რამდენიმე ათეული მეტრი იყო დარჩენილი.

მეკარე ჩამოფრინდა მეკარესთან

სტამბოლი, 1 ივლისი. ხვალ საღამოს ადგილობრივ „მიტხატ-ფაშას" სტადიონზე გაიმართება უჩვეულო მატჩი. ცნობილი თურქული კლუბის „გალათასარაის" ფეხბურთელები შეხვდებიან „ევროპის ვარსკვლავთა ნაკრებს". „გალათასარაის" მინდორზე გამოიყვანს ცნობილი თურქი მეკარე თურგაი, რომლისთვისაც ეს მატჩი გამოსათხოვარი იქნება. იგი თავს ანებებს ფეხბურთს. „ევროპის ვარსკვლავთა ნაკრების" კაპიტნის სამკლაური დღეს გადასცეს ლ. იაშინს, რომელიც ჩამოფრინდა სტამბოლს ამ მატჩში სათამაშოდ.


ЗАХАРОВ А. АНТОШИН В.
МАТОХИН. ШТУКАТУРКИН В.

ლენინგრადი. რსფსრ-ს ხალხთა IV სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება ჭადრაკში.

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების სარბიელი. პირველ პლანზე — თამაშობენ მატოხინი (ვოლგოგრადის ოლქი) და შტუკატურკინი (კემეროვოს ოლქი); უკან — ზახაროვი (როსტოვის ოლქი) და ანტოშინი (მოსკოვის ოლქი).

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა (საკდესი).

შეფები სტუმრებს ელიან



Საიდუმლოდ უნდა გითხრათ, რომ მოსკოვში უკვე ახლა შეიძლება შეხვდეთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის მონაწილეებს. დედაქალაქში ჩამოვიდა, მაგალითად, სომხეთის, თურქმენეთის, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის ზოგიერთი ათლეტი. ეს წვეთია ზღვაში სპორტსმენთა იმ რიცხვთან შედარებით, რომელიც მოსკოვს სპარტაკიადის დღეებში ესტუმრება — 9.600 კაცი, თითქმის 10 ათასი! ამდენ სტუმარს რომ ელი, ყველაზე პატარა საკითხიც კი პრობლემად გესახება. დავიწყოთ თავიდან. ვიდრე ჩამოსული სპორტსმენების ოსტატობით დავტკბებოდეთ, ჯერ მათი დაბინავებაა აუცილებელი.

მთავარი ცენტრი იქნება დოროგომილოვო — სტუდენტთა ქალაქი, რომლის მცხოვრებნიც საზაფხულო არდადეგების დღეებში შინ მიემგზავრებიან. დოროგომილოვოში იცხოვრებს ბელორუსიის, ლატვიისა და თურქმენეთის 1500 სპორტსმენი. სტუდქალაქი გაშლილია კუტუზოვის პროსპექტის რაიონში, რომლის გაგრძელებაც ცნობილი ავტოსტრადა — „მოსკოვი — მინსკი" გახლავთ. ამიტომ ბელორუსიელი სპორტსმენები აქ თავს ისე იგრძნობენ, როგორც შინ.

მეორე სტუდენტური ქალაქი „სოკოლი" ლენინგრადის რაიონშია, — იგი უკრაინისა და აზერბაიჯანის დელეგაციებს დაეთმობა.

„სოკოლნიკის" პარკთან ახლოს, სტრომინკაზე დაბინავდებიან ლიტველი, ხოლო ენერგეტიკული ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლებში — უზბეკეთის სპორტსმენები. ტრანსპორტის მომავალი ინჟინრები სტუმართმოყვრულად გაუღებენ თავიანთი ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის კარს საქართველოსა და ყაზახეთის წარგზავნილებს, მედიკები— მოლდაველებს, მენავთობე-ქიმიკოსები — სომეხ სპორტსმენებს, ხოლო ყველაზე დიდი რესპუბლიკის — რსფსრ-ს წარმომადგენლები ტიმირიაზევის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიაში მოეწყობიან.

რაც შეეხება სხვა „საყოფაცხოვრებო" პრობლემებს, ისინი პრაქტიკულად გადაწყვეტილია. მოგვარებულია სპარტაკიადის მონაწილეთა კვების, ეგრეთ წოდებული კომუნალური მომსახურების, ტრანსპორტის საკითხები. ყოველი დელეგაციის განკარგულებაში იქნება 40-მდე ავტობუსი.

მაგრამ, როგორც იტყვიან „არა პურითა ერთითა..." სპარტაკიადის მონაწილეთათვის იზრუნებენ შეფები. მოძმე რესპუბლიკებისა და ლენინგრადის დელეგაციები მოსკოვის რაიონებმა „დაინაწილეს": მოსკვორეცკის რაიონი ბელორუსიის ათლეტებს გაუწევს მეურვეობას, ოქტომბრისა — ლატვიის, პერვომაისკისა — უკრაინის, კრასნოპრესნენსკისა — თურქმენეთის, კალინინისა — ესტონეთის, ლენინისა — ყირგიზეთის, კიევისა — ტაჯიკეთის, კიროვისა — უზბეკეთის, კუიბიშევისა — ლიტვის, ტიმირიაზევისა — საქართველოს, სვერდლოვსკისა — ყაზახეთის, ჟდანოვისა — მოლდავეთის, ბაუმანისა — სომხეთის, ფრუნზ[illegible] — აზერბაიჯანის, ლენინგრადისა — ლენინგრადის წარგზავნილებს. რსფსრ-ს სპორტსმენები ერთმანეთში „გაიყვეს" ძერჟინსკისა და პროლეტარსკის რაიონებმა.

შეფების დახმარებით ბევრ საინტერესოს ნახავენ და გაიგებენ სპარტაკიადის მონაწილენი. ისინი დაათვალიერებენ მუზეუმებს, ფაბრიკა-ქარხნებს, პიონერთა ბანაკებს, დასვენების ზონებს...

მოსკოვი გელით, მეგობრებო!

ვ. ბაბკინი,
ა. კაჩალოვი.

„ზარნიცა"

ნორჩ არმიელთა თამაშებში, რომელიც ახლახან სევასტოპოლში ჩატარდა, ქვეყნის 34 ქალაქის 600 მოსწავლემ მოიყარა თავი. ასპარეზობაში, რომელსაც სახელად „ზარნიცა" ჰქვია, მონაწილეობა მიიღეს თბილისის 64-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმაც. ისინი თამაშების ფინალში გავიდნენ და გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" პრიზიც დაიმსახურეს.

ნორჩთა ასპარეზობის საზეიმოდ გახსნა მალახოვის ყორღანზე მოეწყო. ალლუმის ხელმძღვანელმა ი. კოპილოვმა „ზარნიცის" ხელმძღვანელს ვ. კაზაკოვს შეჯიბრების მონაწილეთა მზადყოფნა უპატაკა. შემდეგ მოსწავლეებმა თაიგულებით შეამკეს სამამულო ომის გმირთა საფლავები. მეორე დღეს კი დაიწყო შეჯიბრებანი სამხედრო გაწვრთნილობაში.

ქართველ მოსწავლეებს გულთბილი მასპინძლობა გაუწია საქართველოში დაბადებულმა და აღზრდილმა, სევასტოპოლის საზღვაოსნო სასწავლებლის მეზღვაურმა რ. გასიევმა. თბილისელები სტუმრად იყვნენ სამხედრო ხომალდებზე, ნახეს და თაიგულებით შეამკეს ქართველ გმირთა საფლავები.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — მდინარის გადალახვა თოკით, მარჯვნივ — რ. გასიევი ნორჩ ქართველ სტუმრებს საჩუქრად გადასცემს ხომალდის მაკეტს.

ფოტო და ტექსტი ე. ნადარეიშვილისა.

ხარვეზებიანი შეჯიბრება

ამას წინათ ჩატარდა თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლების ტანვარჯიშული ჯგუფების ტრადიციული შეჯიბრება, რომლის ძირითადი მიზანიც მწვრთნელ-მასწავლებელთა და ტანმოვარჯიშეთა მიერ გაწეული მუშაობის შეჯამება გახლდათ. ამოცანა თითქოს შესრულდა: გამოვლინდა მწვრთნელთა ჯგუფების ქულათა ჯამი თანრიგების მიხედვით, ჯამი პირადი ადგილების მიხედვით და ციფრები, ქულები, ციფრები...

ისმის საკითხი, განა ესაა მთავარი?

ფაქტიურად, ციფრებს მიღმა რჩებიან ბავშვები, რომლებიც ჩვენ დავივიწყეთ. შეჯიბრების დამთავრებიდან გავიდა ერთი თვე და ვეკითხებით ნორჩ ტანმოვარჯიშეს: რამდენი დააგროვე? რომელი ადგილი დაიკავე? უკეთეს შემთხვევაში იგი გიპასუხებთ, რომ მწვრთნელმა უთხრა, რომელი ადგილი დაიკავა. მაგრამ თუ არ უთხრა?

აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას ამ შემაჯამებელი შეჯიბრების ჩატარების უფრო დახვეწილი ორგანიზაციის საკითხი. აქვე საჭიროა ითქვას, რომ ცენტრალური სპორტსკოლის ხელმძღვანელობამ ბევრი რამ გააკეთა ბავშვებთან მუშაობის სრულყოფისთვის: გამოყო მთავარი მსაჯები თანრიგების მიხედვით და სხვ. მისასალმებელია ისიც, რომ ნორჩი ტანმოვარჯიშის მაღალ შეფასებას წამახალისებელი მეათედებიც მოსდევდა. მაგალითად, თუ შეჯიბრების მონაწილე 9,3 ქულას მიიღებდა, მასაც და ჯგუფსაც ემატებოდა 0,2 ქულა, 9,4-ის მიღებისას — 0,3 ქულა, 9,5-ის დროს — 0,4 ქულა და ა. შ.

ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, რომ ასეთი მასობრივი შეჯიბრების ჩატარება (500-ზე მეტი მონაწილე) მიზანშეწონილია მაშინ, როცა საამისოდ ყველა პირობა გვაქვს. ამჯერად კი მსაჯების საკითხი პრობლემად იქცა. შეჯიბრებამ თითქმის ორ კვირას გასტანა. მას ემსახურებოდა სხვადასხვა კვალიფიკაციის (ზოგჯერ, არაკვალიფიციური) მსაჯები. ამის გამო იყო, რომ ხშირად შედეგები რეალურ სურათს არ იძლეოდა. წესების თანახმად, მოზარდები ორჯერ უნდა გამოსულიყვნენ ასპარეზზე, მაგრამ შეჯიბრება ისე იყო გადატვირთული, რომ იძულებული გავხდით ეს წესი დაგვერღვია. მოზარდები მხოლოდ ერთხელ გამოვიყვანეთ. ერთი სიტყვით, ასპარეზობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას საზეიმო ვითარების შექმნა წარმოადგენს. სწორედ აქ მოვიკოჭლებთ. არ ხდება ასპარეზობის საზეიმო გახსნა, არც დახურვა-დაჯილდოება. ტანმოვარჯიშეებს სიგელებს აძლევენ... შეჯიბრების დამთავრებიდან დიდი ხნის შემდეგ. ამით ჯილდოს ყოველგვარი ფასი ეკარგება.

ო. ქორქია,
სპორტის ოსტატი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა" ჯგუფის I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 2 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი" (დონეცკი)	14	8	4	2	28—12	20
„არარატი" (ერევანი)	13	8	2	3	15—7	18
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	13	7	3	3	15—8	17
„დინამო" (მოსკოვი)	13	6	4	3	23—12	16
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	13	6	4	3	13—10	16
„დინამო" (მინსკი)	13	6	3	4	10—5	15
„სპარტაკი" (მოსკოვი)	13	6	3	4	19—16	15
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	13	5	5	3	14—13	15
„დინამო" (კიევი)	13	4	6	3	13—7	14
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	13	4	5	4	9—8	13
„ტორპედო" (ქუთაისი)	14	3	7	4	10—12	13
„დინამო" (თბილისი)	14	3	7	4	10—14	13
„ტორპედო" (მოსკოვი)	13	4	4	5	16—11	12
ცსკა	13	5	2	6	17—17	12
ასკ (როსტოვი)	13	4	3	6	9—18	11
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	14	3	3	8	8—15	9
„ზარია" (ლუგანსკი)	13	3	2	8	12—17	8
„კაირატი" (ალმა-ათა)	14	1	6	7	11—27	8
„ზენიტი" (ლენინგრადი)	13	2	3	8	4—27	7

„ა" ჯგუფის II ჯგუფი

„მეშახტემ" მოუგო „შირაკს"

ლენინაკანი, 1 ივლისი (ტელეფონით). გუშინ აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივი „შირაკისა" და ტყიბულის „მეშახტის" შეხვედრამ.

ტყიბულელმა ფეხბურთელებმა ძალიან კარგად ითამაშეს. ანგარიში გახსნა შარაშენიძემ, ხოლო ტაიმის მიწურულში სირაძემ კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი.

შესვენების შემდეგ კვლავ აშკარა იყო „მეშახტის" უპირატესობა, რაც დამთავრდა ჩხარტიშვილისა და სირაძის მიერ გატანილი 2 გოლით.

„მეშახტე" თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: პავლოვი, ჩხენკელი, ჩუბინიძე, ლორთქიფანიძე, ჩიტიანი, ყანჩაველი, შარაშენიძე, სირაძე, გიორგობიანი, ჩხარტიშვილი, თოდიძე (ტუკვაძე).

სხვა მატჩები

გუშინწინ გაიმართა სხვა კალენდარული მატჩებიც. კიროვაბადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და ბათუმის დინამოელები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:2.

აი, დანარჩენი შეხვედრების შედეგები: „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „დინამო" (ლენინგრადი) 0:0, „რუბინი" (ყაზანი) — „დინამო" (ტალინი) 4:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დაუგავა" (რიგა) 2:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „ბალტიკა" (კალინინგრადი) 0:2, „თერგი" (გროზნო) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „სპარტაკი" (გომელი) 0:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 1:0.

მოზარდთა ფინალური ტურნირი

თბილისში დასასრულს უახლოვდება „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ფინალური ტურნირი.

ფრედ (0:0) ითამაშეს ფოთის „კოლხეთმა" და თბილისის „დინამომ". ქუთაისის „ტორპედომ" მარცხი განიცადა ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის (თბილისი) გუნდთან მატჩში (0:1), ხოლო თბილისის „ლოკომოტივმა" მოუგო სოხუმის „დინამოს" — 2:0.

აგარაკის ქუჩის ნორჩები

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის სტადიონზე ჩატარდა ნორჩ ფეხბურთელთა საოლქო ფინალური შეჯიბრება „ტყავის ბურთის პრიზზე". მონაწილეობდნენ ქ. ცხინვალის (2), ლენინგორის, ზნაურისა და ცხინვალის რაიონების გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქ. ცხინვალის ჩემპიონი — აგარაკის ქუჩის გუნდი და ლენინგორელები.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ცხინვალელებმა.

ვ. მელქოევი.
ცხინვალი. **(ჩვენი კორ.).**

✦ სპორტული ტალანტების ტრესტი

კიშინიოვი, 30 ივნისი. მოლდავეთის საიუბილეო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების მონაწილეთაგან 60-ზე მეტი სპორტსმენის პირად ბარათში „მუშაობის ადგილად" აღნიშნულია ცოტა არ იყოს, უცნაური სახელის დაწესებულება „ინჟდორსტროი". ეს ორგანიზაცია ქალაქის მაგისტრალების კეთილმოწყობას ემსახურება და აქ სპორტი მარტო ლაპარაკის თემა კი არა, მუშაობისა და მოსამსახურეთა სამი მეოთხედის ყოველდღიური საქმიანობაა. „ინჟდორსტროის" სპარტაკიადის პირველ ეტაპში მონაწილეობდა 900 კაცი ორგანიზაციის 1200 მუშაკიდან. კიშინიოვში ახლა არავის უკვირს, რომ ქალაქისა და რესპუბლიკის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების ნახევარზე მეტს „ინჟდორსტროის" სპორტსმენები შეადგენენ. აქაური კალათბურთელი ქალები და ვაჟები, ხელბურთელი ქალები საკავშირო ჩემპიონატში „ა" კლასის გუნდებში გამოდიან. კლუბ „ზიდიტორულის" („მშენებელი") სპორტსმენთა შორის 3 სპორტის ოსტატი, 100 პირველთანრიგოსანი, 600 მეორე და მესამეთანრიგოსანია; აქვთ საკუთარი სტადიონი სპორტთამაშებისთვის, სპორტული ბანაკი მდინარე დნესტრის პირას, საძირკველი ჩაეყარა რესპუბლიკაში უდიდეს სპორტდარბაზს 2500 მაყურებლისთვის.

ტრესტის მმართველის ვ. ნეფედკინის კაბინეტი უფრო სპორტული პრიზების გამოფენას ჰგავს. ორი კედელი უჭირავს 100-მდე თასს, უამრავ დიპლომსა და სიგელს. იგრძნობა, რომ აქ ნამდვილი სპორტული შტაბია. თავიანთ წარმატებას ტრესტის ფიზკულტურელები მმართველს, სპორტის დიდ ენთუზიასტს ვ. ნეფედკინსაც უნდა უმადლოდნენ.

აი, პატარა ინტერვიუ, რომელიც ჩვენ მოლდავეთში ყველაზე სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელისგან მივიღეთ.

— რით აიხსნება, რომ თქვენი თანამშრომლების სამი მეოთხედი სპორტსმენია?

— სპორტი ჩვენი საქმიანობის ავ-კარგის ერთ-ერთი მაჩვენებელია. სოციალისტური შეჯიბრების კვარტალური შედეგების განხილვისას სპორტულ წარმატებებს იგივე წონა აქვს, როგორც საწარმოოს.

— ხელს უწყობს თუ არა სპორტში მეცადინეობა შრომისუნარიანობის ამაღლებას?

— რასაკვირველია. ვცდილობთ ყველა სპორტსმენმა იცოდეს, რომ მისი მთავარი ამოცანა შრომაა. შეჯიბრებების გამო სპორტსმენი ზოგჯერ კარგა ხნით სწყდება სამუშაოს, მაგრამ ეს საწარმოო გეგმაზე არავითარ გავლენას არ ახდენს. ბრიგადა თვითონ წყვეტს, შეძლებს თუ არა უმისოდ გეგმის შესრულებას.

— თქვენ თუ მისდევთ სპორტს?

— ახალგაზრდობაში პირველი თანრიგი მქონდა სათხილამურო სპორტში, კალათბურთში, მძლეოსნობაში. ახლა ის მიხარია, სპორტის თაყვანისმცემლები დღითიდღე რომ მრავლდებიან.

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე

[illegible]

ლენინგრადი. რსფსრ-ს სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა საიალქნო სპორტში. შეჯიბრებაში 26 გუნდი ჩაება.

სურათზე: „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასის იახტებით რბოლის მონაწილენი ვ. მაკარენკო და პ. აბროსიმოვი (ლენინგრადის ოლქი).

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდი ოთხეულის" ბრძოლა

ურუგვაიში ამერიკელთა ტაქტიკამ სახე იცვალა. ტემპი, მკაცრი პრესინგი მოულოდნელად მდორე თამაშმა და ხანგრძლივმა გათამაშებამ შეცვალა. ასეთ დროს გუნდს ტყორცნა მაინც უნაკლო უნდა ჰქონდეს. მაგრამ, და ალბათ ეს იყო ყველაზე მეტად გასაკვირი, ამერიკელების ტყორცნის სიზუსტე საშუალოზე დაბალი გახლდათ. რა თქმა უნდა, ასეთი ნაკლით პირველობაზე ფიქრი ზედმეტია.

აშშ-ს გუნდის წარუმატებლობის მესამე ფაქტორი უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისა გახლდათ. სსრ კავშირის ნაკრებთან აშკარად დაუმსახურებელი გამარჯვების შემდეგ ამერიკელებს მონტევიდეოში უკანასკნელი გულშემატკივრებიც შემოეფანტათ. ამას გარდა, ამ გახმაურებული ინციდენტის შემდეგ თვით მოთამაშეებმა დაკარგეს რწმენა. მწვრთნელს გარდა, ყველა დამნაშავედ გრძნობდა თავს და ეს ფსიქოლოგიური ტრავმა გუნდს ჩემპიონატის ბოლომდე გაჰყვა.

მაგრამ ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ამერიკული კალათბურთი საერთაშორისო ასპარეზიდან უკვე ჩამოსაწერი იყოს. 1967 წლის ნაკრებიც თავისთავად დიდი ძალაა, თუ მას ერთი-ორი თვით მაინც შეინარჩუნებენ.

ამერიკელი კალათბურთელები ზედმეტად იყვნენ დარწმუნებული საკუთარ ძალაში და ამან დაღუპა ისინი. მეტოქეთა ძალისა და უნარის უფრო რეალური შეფასებით და კოლექტივის ერთიანობის ელემენტარული ნორმების დაცვით ისინი უდავოდ დიდ წარმატებას მიაღწევენ.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელის — ა. გომელსკის აზრით, აშშ-ს კალათბურთელები საერთაშორისო სარბიელზე იყვნენ და არიან ჩვენი მთავარი მეტოქეები. ამ აზრს მეც ვიზიარებ. არ უნდა დაგვავიწყდეთ, რომ არსად არ არის იმდენი უმაღლესი კლასის კალათბურთელი, რამდენიც ამ ქვეყანაში.

„დიდი კვარტეტის" მეოთხე წევრმა იუგოსლავიამ სულ ათიოდე წელია, რაც ბრძოლით მოიპოვა ადგილი კალათბურთის მზის ქვეშ. პირველი სერიოზული გამოწვევა ამა ქვეყნის ძლიერთ იუგოსლაველებმა 1963 წელს გაუგზავნეს რიო-დე-ჟანეიროში. გუნდი, რომელიც მანამდე მსოფლიო კლასიფიკაციაში X ადგილს არ გასცდენია, ერთბაშად კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე დადგა. იუგოსლაველთა მაშინდელი წარმატება ბევრმა შემთხვევითობას მიაწერა. მაგრამ აქა-იქ ფხიზელი ხმაც გაისმა. რა მწარედ მოტყუვდნენ პესიმისტები!

უცნაური გუნდია იუგოსლავიის ნაკრები, და კიდევ, სხვა კოლექტივებისგან მკვეთრად განსხვავებული. პირველ ტაიმში მონტევიდეოში იგი ყველა მეტოქესთან აგებდა — ძლიერთანაც და სუსტთანაც, მაგრამ პანიკას არც ერთ მატჩში არ მისცემია, — დინჯად, აუჩქარებლად აგვარებდა თავის „შინაურ" საქმეებს და ბოლოს მშრალი ამოდიოდა წყლიდან (გაიხსენეთ, თუნდაც, ამერიკელებთან მატჩი, რომელსაც იუგოსლაველები 14 ქულის სხვაობით აგებდნენ).

იუგოსლაველები ამ ჩემპიონატს ფხიზლად, გონივრულად მიუდგნენ. ილუზიები მათ სამშობლოში დატოვეს, ურუგვაიში კი ჩამოიტანეს პრაქტიკული გეგმები, რაც „მოკრძალებულ" IV ადგილს გულისხმობდა. მაგრამ „დიდი ოთხეულის" სხვა წევრებისგან განსხვავებით, იუგოსლაველებს ჰქონდათ ერთი უპირატესობა, რამაც განაპირობა კიდეც მათი წარმატება.

ეს იყო გუნდის ასაკი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. დიახ, იუგოსლავიის დღევანდელი ნაკრები 7 წლისაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელები 7 წლის მანძილზე სჭედდნენ კოლექტივის მონოლითურობას, ერთიანობას. ასეთი „ხანდაზმული" ნაკრები მსოფლიოს V ჩემპიონატში არავის ჰყავდა.

ხშირად მეკითხებიან, ვინ იყო ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელიო. ამის თაობაზე მონტევიდეოში ორი აზრი არ არსებობდა: საუკეთესო მოთამაშის „სიმბოლური" გვირგვინი ყველა სპეციალისტმა ერთხმად მიაკუთვნა იუგოსლაველ დანევს (ზოგჯერ დანეუსაც წერენ). სიმბოლურს იმიტომ ვამბობ, რომ ფიფა-მ ბოლო მომენტში რატომღაც უარი თქვა ამ პრიზის დათამაშებაზე.

დანევი იყო გუნდის ღერძი, რომლის გარშემო შემოიკრიბა 7 წლის მანძილზე ერთად ნავარჯიშევი ანსამბლი. იგი ამავე დროს გახლდათ უმაღლესი კლასის „სოლისტი", რომლის საშემსრულებლო ოსტატობასაც აღტაცებაში მოჰყავდა არა მარტო მაყურებელი, არამედ ჩემპიონატის უშუალო მონაწილენიც, დანევის გუშინდელი თუ ხვალინდელი მეტოქეები.

ჩვენთვის მოულოდნელი გამოდგა პოპულარული კორაჩის თამაში. თბილისელებს კარგად ახსოვთ ეს კალათბურთელი ევროპის ბოლო ჩემპიონატით. მაშინ კორაჩმა „ლელოს" სპეციალური პრიზიც კი დაიმსახურა, როგორც ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა. მონტევიდეოში იგი სუსტად და ერთფეროვნად თამაშობდა. ამიტომ სულ მალე მოიხსნა კორაჩის პრობლემა, რომელიც ორიოდე წლის წინ მოსვენებას არ აძლევდა მსოფლიოს საუკეთესო მცველებს. მე ვფიქრობ, მისი მზე ჩაესვენა.

ისე კი, კორაჩი მხიარული და სასიამოვნო ადამიანია. ურუგვაიში იგი წვერმოშვებული დადიოდა, თურმე ფიცი დაუდევს, რომ სანამ ჩემი გუნდი ორ თამაშს არ წააგებს, დალაქს არ გავეკარებიო, იუგოსლავიასთან გამარჯვების შემთხვევაში გადაწყვეტილი გვქონდა კორაჩისთვის სამართებელი გვეჩუქებინა, მაგრამ მატჩის დამთავრების შემდეგ ვიღას ახსოვდა კორაჩის წვერი.

დაბოლოს, მსოფლიოს ახალ ჩემპიონზე, რომელმაც თავისი მართალი, რაინდული თამაშით ტემპერამენტიან ურუგვაელთა საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

წარმატებას ხშირად ისეთი უმნიშვნელო რამ განაპირობებს, რაც ერთი შეხედვით თითქოს ცხადზე უცხადესია. მაგალითად, ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტში, კერძოდ, კალათბურთში ცალკეულ მოთამაშეთა კოლექტიურ სულისკვეთებას. ცნობილია ისიც, რომ უამისოდ სპორტის ვერც ერთ სახეობაში ვერ მიაღწევ ნამდვილ წარმატებას. ეს ანბანური ჭეშმარიტება მუდამ იყო და რჩება კოლექტივის უმაღლეს იდეალად, რომლისკენაც სხვადასხვა საშუალებითა და გზით მიისწრაფვიან გუნდები.

ჩვენი ნაკრები ამ მხრივ სულ ახლოს დგას სრულყოფასთან და ეს, პირველ ყოვლისა, გუნდის მწვრთნელის გომელსკის უდიდესი დამსახურებაა. შეკრებაზეც და მისგან თავისუფალ დროსაც, სამშობლოშიც და უცხოეთშიც გუნდი კოლექტიური ცხოვრებით, მეგობრული სულისკვეთებით ცხოვრობდა. სწორედ ასე მზრდიდა ქუთაისის სპორტსკოლის გუნდში ჩემი მწვრთნელი და ჭკუის პირველი დამრიგებელი, ქართული კალათბურთის ვეტერანი ს. თორთლაძე. სწორედ ამის გამო გამიადვილდა ნაკრების „ახალი რეჟიმის" შესისხლხორცება.

კალათბურთელი აუცილებლად შემოქმედი უნდა იყოს. მე ეს ღრმად მწამს. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ხან ვარჯიშზე, ხან კი თამაშის დროს გვეკვიატება რაიმე ახალი ტექნიკური ელემენტი და მოსვენებას არ გაძლევს, ასეთი „სულწასულობა" უმთავრესად ახალგაზრდებს გვახასიათებს. ვოლნოვი, მაგალითად, ან ლიპსო, ამ ახირებულ სურვილს ვარჯიშზე დაიკმაყოფილებენ იმიტომ, რომ უფრო გამოცდილები არიან და თავიანთ თავს მუდამ ანგარიშს უწევენ. ჩვენ კი ზოგჯერ რისკიც გვიტაცებს და მაინცდამაინც თამაშის დროს გვსურს ამ სიახლის ეფექტურობის შემოწმება. ზოგჯერ ეს „შემოწმება" შესაძლოა საბედისწეროც გახდეს. მაგრამ ჩვენი ვეტერანებისგან საყვედური არ გვახსოვს. აი, ასეთი კაცური დამოკიდებულება უდევს საფუძვლად ჩვენს ურთიერთობას, მეგობრობას.

ხშირად მეკითხებიან, რამ განაპირობა ურუგვაიში სსრ კავშირის ნაკრების ესოდენ დიდი წარმატებაო. მე დაუფიქრებლად ვასახელებ გუნდის წევრთა ამ ურთიერთობას, რომელიც შემდგომშიც ახალ-ახალი გამარჯვებების საწინდარი იქნება.

ამბობენ, ხელმა ხელი დაბანა, ორივემ კი პირიო. ნაკრების წევრთა ამ ჰარმონიულმა, უკონფლიქტო ურთიერთობამ განსაზღვრა გუნდის ტაქტიკური პრინციპი, რაც თავის მხრივ საფუძვლად დაედო ჩვენს წარმატებას. რაში მდგომარეობს ეს პრინციპი, თუ გნებავთ, თავისებურება? ჩემი აზრით, სსრ კავშირის ნაკრები დღეს მსოფლიოში ერთადერთი გუნდია, რომელსაც ხუთის ნაცვლად 12 ძირითადი მოთამაშე ჰყავს. ესეც ჩვენი მწვრთნელის უდავო დამსახურებაა.

აი, ჩვენი ნაკრების შემადგენლობის სქემა, რომელიც, ვფიქრობ, ჰოკეიდანაა „გადმოკალათბურთებული": სამნი — პოლივოდა, სელიხოვი და მე არ ვიცვლებით (თამაშის პროცესში შეცვლა ამა თუ იმ კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად, რა თქმა უნდა, ხდებოდა, მაგრამ მე მხოლოდ სქემაზე მოგახსენებთ). ამ მუდმივმოქმედ ტრიოს ხან ვოლნოვის (ვოლნოვ — ტომპსონი), ხან კი პაულაუსკასის (პაულაუსკას — ლიპსო) ტანდემი ემატება.

სქემის ეფექტურობაზე დღეს ლაპარაკი ზედმეტია: მან სავსებით გაამართლა. სხვათა შორის, ტანდემების პრინციპი იმითაც იყო გონივრული, რომ მან მინიმუმამდე დაიყვანა ნაკრების მთავარი დამრტყმელი ძალის — ვოლნოვისა და პაულაუსკასის თამაშიდან ერთდროულად გამოთიშვის (პერსონალური შეცდომების გამო) შესაძლებლობა. ლიდერებს ერთად არც ერთი შეხვედრა არ დაუწყიათ — ისინი თამაშის პროცესში ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

რამ გამოიწვია ეს ტაქტიკური სიახლე? ძირითადად ნაკრების თამაშის სტილმა, რომელსაც საფუძვლად პირველივე წუთებიდან მკაცრი პრესინგი ედო. საერთოდ, ასეთი მჭიდრო პერსონალური მეურვეობა კალათბურთელისგან დიდ ფიზიკურ და ნერვულ დაძაბულობას მოითხოვს. კოსმოსური ტემპით თამაში მთელი შეხვედრის მანძილზე და ისიც მაღალი თავდამსხმელებისთვის, ძალიან ძნელია. 8-10 წუთის შემდეგ ტანდემების მონაცვლეობა კი რეაქტიული ტემპის ბოლომდე შენარჩუნების საშუალებას გვაძლევდა.

საასპარეზოდ გამგზავრების წინ ჩვენ ერთობ გვაწუხებდა ცენტრალური თავდამსხმელის პრობლემა. საქმე ისაა, რომ ნაკრების შტატიანი ცენტრი პეტროვი მუხლის ოპერაციის გამო მოსკოვში დარჩა. მწვრთნელებმა ეს ერთადერთი ვაკანტური ადგილი ნაკრების ახალბედა წევრს პოლივოდას ჩააბარეს, რომელიც ფიზიკურად უმძიმესი ბრძოლებისთვისაც კი იყო მზად. უნდა ითქვას, რომ პოლივოდამ არა თუ გაამართლა ნდობა, არამედ გადააჭარბა კიდეც მოლოდინს. 120-კილოგრამიანი თავდამსხმელი, რომელიც ბუნებას არც სიმაღლით დაუჩაგრავს, ფარის ქვეშ ნამდვილ რისხვად იქცა მეტოქეებისთვის.

არ შემიძლია ქებით არ მოვიხსენიო ნაკრების ვეტერანი ვოლნოვი, რომელიც ბრაზილიასთან მატჩის უმძიმეს წუთებში გუნდის ნამდვილი კაპიტანი და სულისჩამდგმელი იყო. 30 ქულა, რომელიც მის წილად მოდის, არაფერია იმ უზარმაზარ დატვირთვასთან, რისი გადატანაც ჩვენს კაპიტანს მოუხდა.

აი, მოკლედ იმ „დიდ ოთხეულზე", რომელმაც მსოფლიო კალათბურთის შემდგომი განვითარება უნდა წარმართოს.

სამშობლოში გამარჯვებით დაბრუნებულებს ღირსეული შეხვედრა მოგვიწყვეს. გულშემატკივრებს აინტერესებდათ ყველაფერი, რაც კი ამ ჩემპიონატთან იყო დაკავშირებული და ჩვენც, რა თქმა უნდა, ხალისით ვიძლეოდით პასუხს. ახლაც მსურს „ლელოს" მკითხველებს ვუპასუხო იმ შეკითხვებზე, რასაც ტრადიციულად მაძლევდნენ მოსკოვშიცა და თბილისშიც:

1. რომელი მატჩი იყო ჩვენთვის ყველაზე ძნელი?
2. რომელი მატჩი მომეწონა ყველაზე მეტად?
3. ბოლოსდაბოლოს, რა მოხდა ამერიკელებთან შეხვედრაში?
4. როგორ დავეპატრონე ჩემპიონატის ბოლო მატჩის ყველაზე ძვირფას ნადავლს — ბურთს?

აი, პასუხებიც:

1. ეს შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ ჩვენი ყველაზე ძნელი მატჩი იყო... ურუგვაისთან, ჩემპიონატის ყველაზე სუსტ გუნდთან. ყველაფერი დაიწყო ამერიკელებთან მატჩის დროს მომხდარი ინციდენტის შემდეგ, რომელზეც დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ. ბრძოლა ყოვლად უსინდისოდ წაგვაგებინეს და იმ ღამეს არც ერთ ჩვენგანს არ ეძინა. მეორე დღეს კი გველოდა მასპინძლებთან მატჩი, რომელიც ვერა და ვერ ავაწყვეთ. ურუგვაელი გულშემატკივრები თავდაპირველად მშვიდად ისხდნენ ტრიბუნებზე. ოპტიმიზმის საბაბი, მათ, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ, მაგრამ დრო ნელ-ნელა გადიოდა, ჩვენს თამაშს კი სასიკეთო პირი არ უჩანდა. და როცა ჰაერში მოულოდნელად სენსაციის სუნი დატრიალდა, დარბაზმა იხუვლა. გამოვფხიზლდით მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ კალათს უსიამოვნოდ შავი ღრუბლები დააწვა... ანგარიშში სხვაობა სულ რაღაც 6 ქულამდე გავზარდეთ. მაგრამ ეს ჯოჯოხეთური თავგანწირვის ფასად დაგვიჯდა.

2. საუკეთესო მატჩად მიმაჩნია სსრ კავშირ-ბრაზილიის შეხვედრა. ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ. ორივე გუნდის თამაში უმაღლესი საკალათბურთო ხელოვნება გახლდათ. მართალია, ჩვენ ლამაზი მატჩი მოვიგეთ, მაგრამ ბრაზილიელთა ვირტუოზული ოსტატობა რომ არა, ეს სილამაზეც არ შეიქმნებოდა. თავდავიწყებამდე ტემპერამენტულ ბრაზილიელებს ამ შეხვედრაში რაინდულმა სულმა ერთხელაც არ უმტყუნა. პირველი, ვინც ამ უძნელესი მატჩის გამარჯვება მოგვილოცა, დამარცხებული გუნდი იყო.

3. სსრ კავშირ — აშშ-ს მატჩის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე ამერიკელებმა დაარღვიეს 30 წამის წესი, რაც უმალვე აღნიშნა სამდივნოს სასტვენმაც. ვოლნოვი მივარდა ერთ-ერთ ამერიკელ მოთამაშეს, რომელიც გვერდით ხაზთან იდგა და ბურთი ხელიდან გამოსტაცა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ დროს ანგარიში იყო 54:54 და, ბუნებრივია, ჩვენი კაპიტანი ჩქარობდა. კანადელმა მსაჯმა სიბორნმა, რომელიც ამერიკელებს აშკარად მფარველობდა, ვოლნოვი დააჯარიმა. გადაწყვეტილება იმდენად უაზრო იყო, რომ თამაში შეწყდა. ხანმოკლე თათბირის შემდეგ სიბორნმა და ბერძენმა არბიტრმა დიშოუმ სადავო გდება დანიშნეს. ახლა უკვე განრისხდა ამერიკელთა მწვრთნელი ფიშერი, დარაზმა თავისი ბიჭები და მოედნიდან გაიყვანა. 20-წუთიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ფიბა-ს პრეზიდენტმა, რომელიც ამავე დროს ტექნიკურ კომისიას ხელმძღვანელობდა, დანიშნა... ორი საჯარიმო ტყორცნა ჩვენს კალათში.

მოგების შანსი ჩვენ ამის შემდეგაც გვქონდა, მაგრამ წონასწორობადაკარგულმა პოლივოდამ მიუტევებლად დაკარგა ბურთი ზედ ფინალური სასტვენის წინ.

4. დავამთავრეთ თუ არა იუგოსლაველებთან შეხვედრა, მთელი დარბაზი ყვირილითა და მხიარული ჟრიამულით გადმოცვივდა მოედანზე. გულშემატკივრებს სურდათ სუვენირებად წაეღოთ ჩვენი მაისურები. მე მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ სულ ბურთს ვუთვალთვალებდი და როგორც კი ჩემსკენ წამოსულ გულშემატკივართა ჯგუფი შევნიშნე, გავიხადე მაისური, გადავუგდე მათ, ვტაცე ბურთს ხელი და გასახდელში შევარდი. იქ ჩემს მეტი არავინ იყო. მხოლოდ შესასვლელთან დარაჯობდა ერთი ახმახი პოლიციელი. ბურთი ჩანთაში ჩავდე.

რამდენიმე წუთის შემდეგ გასახდელში შემოვიდა მსაჯის ემისარი და ხელებით მანიშნა, ბურთი დააბრუნეო. ხელებითვე ვუპასუხე, ბურთი არა მაქვს და არც ვიცი სადაა-მეთქი. ჩვენი ყრუ-მუნჯური ლაპარაკი 5 წუთს გაგრძელდა; შემდეგ კი ემისარმა დასტოვა გასახდელი. პოლიციელი გავაფრთხილე, რომ არავინ შემოეშვა ოთახში და ჩვენ ბიჭებს დაელოდა, შემდეგ კი ბურთი უჩუმრად გავაპარე სასტუმროში.

ასე ბედნიერად დამთავრდა ჩემთვის მსოფლიოს V ჩემპიონატი.

ზ. საკანდელიძე,
სსრ კავშირის ნაკრების წევრი,
სპორტის ოსტატი.
მონტევიდეო — თბილისი.

სურათზე: საკანდელიძე გატაცებული ბურთით.
ფოტო დ. იაკობაშვილისა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო", № 126.

გუშინ...

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში გაიმართა „ბ" კლასის IV ზონის გუნდების მორიგი კალენდარული მატჩები. „ლელოს" კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

რუსთავიდან...

ადგილობრივი „მეტალურგისა" და მაიკოპის „დროჟბის" შეხვედრის 20 წუთი ისე მიილია, რომ საჯარიმო მოედანზე ბალახი ამოვიდა. ფეხბურთელები თამაშობდნენ ძალზე ინერტულად, უსისტემოდ, მოუნდომებლად... მაგრამ აი, 27-ე წუთზე სტუმრებს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა პოსტანოვი პირისპირ გავიდა მეკარე ჩლაიძესთან. მასპინძლები იხსნა... ძელმა.

შესვენების შემდეგ „მეტალურგის" რიგებში რამდენიმე ცვლილება მოხდა, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო: გუნდი ენერგიულად ათამაშა და მწვავედ შეუტია მეტოქის კარს. მაგრამ ამჯერადაც თავი იჩინა უზუსტო საბოლოო დარტყმებმა.

მატჩის დამთავრებამდე 2 წუთი აკლდა, რომ რუსთაველთა მრავალსვლიან კომბინაციას პაპიაშვილმა კარში დარტყმით დაუსვა წერტილი. ბურთი მოიგერია მეკარემ, მაგრამ იქვე გაჩნდა ლობჟევი, რომელმაც რუსთაველებს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

ზუგდიდიდან...

ადგილობრივი „ენგურის" მეტოქე ზონის გათამაშების ლიდერი მახაჩყალის „დინამო" იყო. თამაში თავიდანვე მწვავედ წარიმართა და შესვენებამდე ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გახსნის კარგი მომენტები. ჯერ იყო და, ზუგდიდელი ალმასიამ კარგად მოატყუა დინამოელთა რამდენიმე მცველი და ძლიერადაც დაარტყა კარში. მაგრამ მეკარე შულაინმა ბურთი მოიგერია; 5 წუთის შემდეგ კი თითქმის იგივე განმეორდა „ენგურის" კართან, მაგრამ ვრიშენკოს დარტყმა უზუსტო გამოდგა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და 51-ე წუთზე აბრალავას მიერ მარჯვენა ფრთიდან ჩამოწოდებული ბურთი დანელიამ „დინამოს" კარის ბადეში მოათავსა.

მარცხმა მახაჩყალელებს თითქოს ძალი ძალა შემატა: მათ რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს, მაგრამ კარგად ითამაშა „ენგურის" მეკარე ჩაბრავამ.

მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე ალმასიამ კარგად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო — 2:0.

შემდგომში დინამოელებმა შეძლეს „მშრალი" ანგარიშიდან თავის დაღწევა (ტიმოშენკო).

გამარჯვება მასპინძლებმა — 2:1.

ლანჩხუთიდან...

„გურია" აქ შეხვდა დერბენტის „ეროჟაის". მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა მასპინძელთა უპირატესობა, რომლებმაც შესძლეს კიდეც გამარჯვების მოპოვება—1:0.

გურჯაანიდან...

ადგილობრივი „ალაზანი" და კისლოვოდსკის „სპარტაკი" შეხვედრაში მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც სტუმრებმა გაიტანეს. „ალაზანი" კვლავ დამარცხდა — 0:1.

სსრ კავშირის
პირველობა

„ბ" კლასი
IV ზონა

ყოველი მხრიდან

„ჩემპიონად რჩება კლეი"

მიუხედავად მკაცრი განაჩენისა (5 წლით ციხე და 10 ათასი დოლარი ჯარიმა), მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის კასიუს კლეი ახლაც მტკიცედ ადგას თავის სიტყვას ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ბინძური ომის თაობაზე. „რომ შემეძლოს ყველაფერი თავიდან დავიწყო, — განაცხადა კლეიმ, — ისევე მოვიქცეოდი, როგორც აქამდე". მან დასძინა, რომ საკასაციო საჩივარი შეიტანა და იმედოვნებს ბრძოლის გაგრძელებას მაღალ ინსტანციაში.

მოკრივეთა მსოფლიო ასოციაციამ, რომელმაც კლეის მსოფლიო ჩემპიონის სახელი ჩამოართვა, განაჩენის გამოტანისთანავე დიდი მუშაობა გააჩაღა მისი შემცვლელის აღმოსაჩენად. გამოცხადდა, რომ 19 ივლისს ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ-გარდენში" გაიმართება ბრძოლა ჯო ფრეზერსა (აშშ) და ჯორჯ ჩუვალოს (კანადა) შორის. პრესამ ეს მატჩი ასოციაციის გამარჯვებად შეაფასა. საქმე ისაა, რომ ფრეზერი და ჩუვალო პროფესიული კრივის უძლიერეს მძიმეწონოსანთა ათეულში შედიან და ამ შეხვედრას შეეძლო დასაბამი მიეცა ჩემპიონის სახელის დასაპყრობად ბრძოლისთვის.

მაგრამ ყალბისმქმნელებმა მწარე აბი გადაყლაპეს: ზანგმა ფრეზერმა და თეთრკანიანმა ჩუვალომ სოლიდარობა გამოუცხადეს კლეის: „ჩვენთვის და არა მარტო ჩვენთვის, კასიუს კლეი იყო და არის ჩემპიონი", — თქვეს მათ.

კლეის მეტოქენი მალე დარწმუნდნენ ამ სიტყვების სიმართლეში. ევროპის მოკრივეთა კავშირის წარმომადგენელმა რომში განაცხადა, რომ კავშირი კვლავ კლეის თვლის მსოფლიო ჩემპიონად. ასეთივე ცნობა მოვიდა ევროპაში უდიდესი ორგანიზაციისგან — ბრიტანეთის მოკრივეთა ასოციაციიდან.

სამთო მოთხილამურეებს ზაფხულში ამზადებენ

„თავიანი კაცი ზაფხულში მარტო ქურქს კი არ ყიდულობს, სამთო მოთხილამურეებსაც ამზადებს", — ამბობს პროფესორი ფრანც ჰოპიხლერი, სამთო-სათხილამურო სპორტის მსოფლიოში ცნობილი ავსტრიელი სპეციალისტი, ავსტრიის ეროვნული ნაკრების პირველი საზაფხულო საწვრთნელი კურსების ხელმძღვანელი. საწვრთნელ ბანაკში, რომელიც ფაანერზეეს ტბაზე მოეწყო, ავსტრიის 47 მოწინავე მოთხილამურე შეიკრიბა. მათ შორის ბევრია სახელმოხვეჭილი სპორტსმენი: ჰეინი მესნერი, ეგონ ციმერმანი, სტეფან სოდატი, ფრანც დიგრუბერი, ჰერბერტ ჰუბერტი, რუდი ზაილერი (ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონის ტონი ზაილერის ძმა), ერიკა შინეგერი, ქრისტლ ჰაასი, ოლდა და ნიშლ პალები, ინგა იოჰუმი, ჰერტრაუდ გაბლი, ვილტრუდ დრექოლი და იულია შპეტელი.

ავსტრიის ნაკრები სპეციალურად დამუშავებული გეგმით ვარჯიშობს. მის მეცადინეობას კონტროლს უწევენ გამოცდილი ექიმები და სპეციალისტები. მზადების პროგრამაში შედის: კროსი, ტანვარჯიში, წინაღობათა დაძლევით ციცაბო მთებიდან დაშვება, ხელბურთი, კალათბურთი, წყალბურთი (ქალებისთვისაც კი), ცურვა, ძალოსნობა, რბენა სიმძიმეებით სავსე ზურგჩანთებით და სხვ. პროფესორმა ჰოპიხლერმა აღნიშნა, რომ ივლისიდან ოქტომბრის დამლევამდე სამთო-მოთხილამურეთა კურსებზე მეცადინეობა ჩატარდება თვეში ორჯერ (სპორტსმენების „საშინაო დავალება" არ იგულისხმება). ნოემბერში დაიწყება ინტენსიური წვრთნა თოვლზე.

„ვეცდებით გრენობლისთვის კარგი ქურქი მოვიმზადოთ", — ხუმრობს პროფესორი.

რობერტას 281-ე ადგილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოჩნდა მძლეოსნობის ათზე მეტი მოყვარული ქალი, რომლებიც მოითხოვენ, რომ მარათონული რბენა ქალთა შეჯიბრებების პროგრამაში შეიტანონ. მათ შორის ყველაზე დიდი ენთუზიასტია კალიფორნიელი სტუდენტი რობერტა გიბი. ამ დღეებში ამერიკულმა სპორტულმა პრესამ მკითხველებს რობერტას დიდი წარმატება აუწყა: გიბმა მონაწილეობა მიიღო ბოსტონში მარათონელთა ტრადიციულ მასობრივ შეჯიბრებაში და საპატიო 281-ე ადგილი დაიკავა. ეს ადგილი საპატიოა იმიტომ, რომ შეჯიბრებაში 600-მდე კაცი მონაწილეობდა. ოფიციალურად ქალებს ბოსტონის მარათონის სტარტებზე გამოსვლის უფლება არა აქვთ, მაგრამ რობერტამ მიაღწია იმას, რომ სტარტი „პირობითი ნომრით" აელო. როგორ გაოცდნენ მსაჯები, როცა 23 წლის ქალიშვილმა უკან ჩამოიტოვა 300 ვაჟი.

თავად რობერტას ეს გამარჯვება არ გაკვირვებია, „ქალები ვაჟებზე გამძლენი არიან, — განაცხადა მან. — შეიძლება დადგეს დრო და მძლეოსნობის ამ სახეობაში ვაჟებს ისე შევეჯიბროთ, როგორც თანასწორი თანასწორს. ჯერჯერობით ჩვენ მოვითხოვთ მინიმუმს: მარათონს ქალებისთვის. და თავს არც შევირცხვენთ".

„წინაპრები" გზებზე

ვენა, 1 ივლისი. ვენიდან კოპრივნიცესკენ (ჩეხოსლოვაკია) აიღო სტარტი თანამედროვე ავტომანქანის წინაპართა დაახლოებით 50 წარმომადგენელმა (ეს მანქანები 1901-30 წლებშია გამოშვებული).

ამ „ვეტერანების რალის" ჩატარება გადაწყდა „პრეზიდენტის" ტიპის პირველი ავტომანქანის გამოშვებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით (იგი თანამედროვე „ტატრის" წინაპარია). 1898 წლის 17 მაისს ავსტრიულმა გაზეთმა „ნოიე ვინერ აბენდბლატმა" სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა: „ნესელ ფორდში (ახლანდელი კოპრივნიცე), სადაც ახლახან ავტომანქანების წარმოება დაიწყეს, 21 და 22 მაისს მოეწყობა ავსტრიაში პირველი ავტომანქანის საცდელი გარბენა". გაზეთი თხოვნით მიმართავდა საველოსიპედო კლუბების ყველა წევრს: ავტომობილისტებს დაეხმარეთ, სოფლის მოსახლეობას შეატყობინეთ ამ გარბენის ამბავი, რათა უეცრად გზაზე ცხენები არ დაუფრთხეთო.

და აი, 70 წლის შემდეგ კვლავ უამრავი მაყურებელი შეიკრიბა იმ ავტოწინაპრების საცქერლად, რომლებიც საათში 20 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობენ. დღეს ისინი სიძველის ნიმუშად ქცეულან. რაც შეეხება ცხენებს, ახლა მათ მანქანა ველარ დააფრთხობს, თან, საეჭვოცაა, რომ ისინი სადმე შეხვდნენ ავტომობილისტებს.

მექსიკოს საფეხბურთო განრიგი

მეხიკო, 30 ივნისი. მსოფლიოს IX ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდება 1970 წლის 31 მაისიდან 21 ივნისამდე, — ასე განუცხადა დღეს ჟურნალისტებს მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და მომავალი ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ გილიერმო კანედომ. მატჩები გაიმართება მეხიკოში, გვადალახარში, პუებლოში, მონტერეიში და ლეონში, აგრეთვე შესაძლოა — ხასოსა და ვერაკრუსში. თუმცა ზოგი წინააღმდეგია ამ უკანასკნელი სანავსადგურო ქალაქისა, ვინაიდან იგი ზღვის დონეზე მდებარეობს, მექსიკის სხვა ქალაქებთან შედარებით გაცილებით დაბლა.

31 მაისი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩების ოფიციალურად გახსნის დღეა. 2 და 3 ივნისს ქვეჯგუფებში გაიმართება მატჩების პირველი ტური, 6 და 7 ივნისს — მეორე, 10 და 11 ივნისს — მესამე ტური.

მეოთხედფინალური მატჩები ჩატარდება 14 ივნისს, ნახევარფინალური მატჩები — 17 ივნისს. 20 ივნისი III ადგილისთვის ბრძოლის დღეა, ხოლო 21 ივნისს გაირკვევა მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა.

მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის განაცხადების შეტანის ბოლო ვადაა 1967 წლის 15 დეკემბერი.

1968 წლის იანვარში განაცხადების წარმომდგენნი დაიყოფიან ჯგუფებად შესარჩევ თამაშებში სასპარეზოდ.

საკვალიფიკაციო ტურნირი გაგრძელდება 1968 წლის აპრილიდან 1969 წლის დეკემბრამდე. ოქროს ქალღმერთისთვის ერთმანეთს შეერკინება შესარჩევ თამაშებში გამარჯვებული 14 გუნდი, აგრეთვე, ჩემპიონატის ორგანიზატორი — მექსიკა და მსოფლიო ჩემპიონი — ინგლისი.

„...დარჩა ბურთი და მოედანი."

ფოტოეტიუდი რ. გაბრიჭიძისა.

საერთაშორისო ფოსტიდან

რა არ გაამხილა „შტერნმა"?

დასავლეთგერმანული ჟურნალი „შტერნი" განყოფილებაში „საინტერესო წიგნი" რეგულარულად აქვეყნებს რეცენზიებს გფრ-ში გამოცემულ წიგნებზე. ერთ-ერთი ბოლო რეცენზია უშუალო კავშირშია სპორტთან. ლაპარაკია ჰაიო ბერნეტის წიგნზე „ეროვნულ-სოციალისტური ფიზიკური აღზრდა". ავტორის მოტანილი ფაქტები ყურადღებას იქცევს ობიექტურობით. „შტერნმა" ასე გადმოსცა ბერნეტის ნაშრომის მთავარი იდეა:

„მესამე რაიხში სპორტს ეკისრებოდა მხოლოდ ერთი ამოცანა: ჰიტლერს კარგად გაწვრთნილი მასალა სჭირდებოდა ომისთვის".

ბერნეტმა საკმაო ოფიციალური საბუთები შეკრიბა იმის დასტურად, რომ ნაცისტები ხელისუფლების დაპყრობამდეც ცდილობდნენ თავიანთი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ გერმანიის სპორტული მოძრაობა.

როგორც კი ძალაუფლება ხელთ იგდო, ჰიტლერმა აშკარად განაცხადა: „მე არავითარი ინტელექტუალური აღზრდა არ მჭირდება. მახვილი ფიზიკურ მომზადებაზე უნდა გადავიტანოთ. სულიერი განვითარება — ბოლოს".

ბერნეტი ამტკიცებს, რომ ამ სიტყვის მერე ნაცისტურ დაწესებულებებში, პირველ ყოვლისა, გესტაპოში და პოლიციაში გაჩნდა „სრულყოფილი არიელის" ბრინჯაოს ფიგურები. სპორტის მთავარ ამოცანად იქცა „ზეადამიანის — მსოფლიოს მბრძანებლის" აღზრდა.

ნაცისტური სპორტის თეორეტიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ ყოველი შეჯიბრების წინ შეიძლება გამარჯვებულის გამოცნობა. მოიგებს ის, ვისაც „მეტი არიული ნიშანი" აქვს. „მეცნიერულად" ასაბუთებდნენ, რომ „ტევტონური რასის სპორტსმენები მუდამ პირველნი არიან საშუალო მანძილებზე რბენაში, სამთო-სათხილამურო სპორტში, შუბის ტყორცნაში, ხუთჭიდსა და ათჭიდში. ასე იქნება მომავალშიც".

ეს რასისტული ბოდვა ჟურნალ „შტერნსაც" კი ირონიულ ღიმილს ჰგვრის. „ბრწყინვალე მომავალი არც ისე დიდხანს გაგრძელდა, — წერს ჟურნალი. — დღეს სამთო-სათხილამურო სპორტში ფრანგები პირველობენ, ჭიდაობაში — თურქები და რუსები, ხუთჭიდში — უნგრელები, რბენაში — ზანგები".

მესამე რაიხში სპორტის მთავარი ამოცანა ომისთვის მზადება იყო. ფიზაღზრდის საიმპერიო აკადემიის დირექტორმა კრიუმელმა ჯერ კიდევ 1937 წელს განაცხადა: „ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის მიზანია მზადყოფნა სერიოზული სამხედრო გამოცდისთვის".

1940 წელს ნაცისტური გაზეთი „ნს-შპორტი" აღტაცებით იუწყებოდა: „ჩვენ ვერ ვიქნებოდით საუკეთესო ჯარისკაცები, მსოფლიოს პირველი სპორტული ერი რომ არ ვყოფილიყავით, სწორედ სპორტი დაეხმარა ჩვენს ჯანსაღ ახალგაზრდობას სისხლნაკლული, საცოდავი პოლონელებისა და ფრანგების განადგურებაში".

ნაცისტები ქალთა სპორტსაც კი ომის სამზადისისთვის იყენებდნენ. „მწყობრში ჩამდგარ ქალთა კოლონაზე მშვენიერი სანახავი არაფერია...", „არიელი ქალი კატასავით მოქნილი და ფოლადივით მტკიცე უნდა იყოს..." — ქადაგებდა ფიურერი".

ბერნეტის წიგნი უდავოდ საინტერესოა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი დამახასიათებელი დეტალი: მისი განხილვისას ჟურნალი „შტერნი" განზრახ დუმს სპორტისადმი დღევანდელ დამოკიდებულებაზე გფრ-ში. უფრო მეტიც, „შტერნი" რეცენზიას იწყებს ამ სიტყვებით: „ის, ვინც დღეს სპორტზე ლაპარაკობს, ერთა მშვიდობიან მეტოქეობაზე ფიქრობს. მუდამ ასე როდი იყო". მაგრამ განა „ერთა მშვიდობიან მეტოქეობაზე" ფიქრობენ დღეს სპორტის დასავლეთგერმანელი პოლიტიკოსები? მთელმა მსოფლიომ იცის: ბონის საქმოსნები კვლავ ცდილობენ, რომ სპორტი მილიტარიზმისა და რევანშიზმის სამსახურში ჩააყენონ. დასავლეთგერმანული „შპორტბუნდის" თავმჯდომარე ვილი დაუმე სისტემატურად ეთათბირება ბუნდესვერის გენერლებს, სპორტულ ჟურნალებს სამხედრო რეკლამის ბეჭდვას ურჩევს. ახალგაზრდობას მილიტარისტული სულისკვეთებით ზრდიან ყველა სპორტულ სკოლაში. სპორტის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობს გფრ-ის ნეონაცისტური პარტიაც. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ბელადმა ადოლფ ფონ ტადენმა ამას წინათ გულახდილად განაცხადა ბად-გოდესბერგში გამართულ მიტინგზე:

„ჩვენი ყოველმხრივი პროგრამის გასახორციელებლად საჭიროა გავაძლიეროთ პროპაგანდა ახალგაზრდობაში, პირველ ყოვლისა, სტუდენტებსა და სპორტსმენებში. ჯანსაღ ერს სჭირდება ნამდვილი ჯარისკაცები, რომელთაც ძალუძთ მოიპოვონ ეროვნული სასიცოცხლო სივრცე. ამიტომ სპორტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ".

როგორ ფიქრობთ, დიდად განსხვავდება ადოლფ II სიტყვები ადოლფ I ქადაგებისგან? ნეონაცისტთა მეთაურის ზრახვა ძნელი მისახვედრი როდია: მას სურს ყავისფერი ჭირი შეჰყაროს დასავლეთგერმანელ ახალგაზრდობას, მოწამლოს მისი შეგნება.

ამას წინათ დასავლეთგერმანულ სპორტულ საზოგადოებაში „მსფ დუისბურგ-ვედაუ" გამოჩნდა ნეონაცისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს „დოიჩე ნაჰრიჰტენის" რამდენიმე ნომერი. გაზეთი ქადაგებდა: „ნამდვილმა გერმანელმა არ უნდა დაივიწყოს, რომ აუცილებელია დიდი გერმანიის აღდგენა მესამე რაიხის საზღვრებში", მოითხოვდა: „ბოლო მოვუღოთ ბრალეულებს", მოუწოდებდა დასავლეთგერმანელ ახალგაზრდებს: „გაერთიანდით ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დროშით!"

ამ პარტიის პროკლამაციები სასადილოებშიც აღმოაჩინეს. ადგილობრივი პარტიული მოღვაწენი თავიანთ შეკრებებზე იწვევდნენ სპორტსმენებს.

კლუბის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისმა წევრებმა ამ ნეონაცისტური პროვოკაციის დაუყოვნებლივ აღკვეთა მოითხოვეს. დუისბურგის სპორტსმენები, რომლებიც ყოველწლიურად მონაწილეობენ მშვიდობის ტრადიციულ საგაზაფხულო მარშებში, ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. მათ გადაჭრით უთხრეს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებს: ერთხელ და სამუდამოდ მოგვეშვით, ნუ ცდილობთ კლუბი თქვენი ბინძური პროპაგანდისთვის გამოიყენოთ.

რა თქმა უნდა, ნეონაცისტები ასე იოლად არ დაიხევენ უკან. მაგრამ ცხადია ისიც, რომ გფრ-ის პატიოსანი სპორტსმენები ნეონაციზმის წინააღმდეგ არიან.

ასე რომ, ყავისფერი სპორტის თაობაზე დაწერილი წიგნი დღეს მეტად აქტუალურად ჟღერს დასავლეთ გერმანიაში.

ა. ბურკოვი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ფეხბურთი. „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური გათამაშების ფინალური ტურნირი. **დღეს:** „დინამოს" საწვრთნელი ბაზა (დიღმის დასახლება). „ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (თბილისი). ასკ-ს სტადიონი. „დინამო" (სოხუმი) — „კოლხეთი" (ფოთი). „ლოკომოტივის" სტადიონი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) მატჩების დასაწყისი 18 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 8-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 8-95-41, მასობრივი ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მანქანათა ბიურო — 8-95-11, გამოშვება — 8-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 3 უე 09349